ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5661202

ნომერი: AR1856337

თარიღი : 15.10.2021

გაცემის თარიღი : 29.10.2021

გაცნობის თარიღი : 01.11.2021

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , შესახვევი იალბუზი , N 13; ქალაქი თბილისი , შესახვევი იალბუზის, N13-ის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, ლუსინიანის ქუჩა N15-ის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი , ქუჩა ლუსინიანის , N 19; ქალაქი თბილისი , შესახვევი ლუსინიანის I , N 3; ქალაქი თბილისი , ქუჩა ლუსინიანის , N 15;

დამკვეთი-განმცხადებელი
- გიორგი სიჭინავა პ/ნ 01002010942
- ქ. თბილისი, კოტე მახარაძეს 4, ბინა 17

ორგანიზაცია:
- შპს "სასკო" კოდი: 205045636

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- IV კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)
- ორი ან მეტი ფუნქციის მქონე ობიექტები
  - მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1662.0

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ– ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია რომლის პასუხად გაცნობებთ:

საპროექტო მიწის ნაკვეთი დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის-რუკის მიხედვით მდებარეობს ზოგად საცხოვრებელ ზონაში (სზ), რომელიც მოიცავს თბილისის განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში არსებულ/დაგეგმილ საცხოვრებელი გამოყენების ტერიტორიებს. ასევე საზოგადოებრივ-საქმიან ზონა 2 (სსზ-2)-ში, რომელიც მოიცავს თბილისის განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში არსებულ/დაგეგმილ საქმიანი, კომერციული და სხვა საზოგადოებრივი გამოყენების ტერიტორიებს.

საპროექტო მიწის ნაკვეთის მიმდებარე ტერიტორიაზე ჩამოყალიბებული დაბალი განაშენიანების და ასევე სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს დასკვნის გათვალისწინებით, ზოგად საცხოვრებელ ზონაში მდებარე ნაწილის კონკრეტული ფუნქციური ზონით მსჯელობა შესაძლებელია საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3)-ის პარამეტრებით.

წარმოდგენილი განთავსების სქემის მიხედვით დგინდება, რომ მრავალფუნქციური შენობა მოიცავს როგორც საზოგადოებრივ-საქმიან ზონა 2-ს, ასევე ზოგად საცხოვრებელ ზონას რაც დაუშვებელია. იმისთვის, რომ სამსახურმა იმსჯელოს მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენის შესაძლებლობასთან დაკავშიებით, საჭიროა წარმოადგინოთ განახლებული საპროექტო შენობის განთავსების სქემა ფუნქციურ ზონებს შორის საზღვრის დაცვით (იხ. დანართი).

საჭიროების შემთხვევაში დამატებითი ხარვეზები გეცნობებათ მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვის შემდგომ.

მითითებული ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს სრულყოფილ შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მოზრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.